

**ტაო-კლარჯეთის
ტრადიციული დასახლების
პატრონიმული სტრუქტურა თურქეთში
THE PATRONYMIC STRUCTURE
OF THE TRADITIONAL
TAO-KLARJIAN SETTLEMENT
IN TURKEY**

ნუგზარ მგელაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო

Nugzar Mgeladze

Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia

ABSTRACT

The system of kinship relations of the Tao and Klarj population, including the terminological model of kinship, had a traditional character. In a structural model, it maintains the typological structure typical to any historical-ethnographic groups of the Georgian people. However, since the Tao and Klarjeti population had to live isolated from their Georgian-speaking related groups in the Ottoman state for a long time since the late Middle Ages and had to develop in a new ethnic environment, their system of kinship has undergone changes which primarily were reflected in the terminology. Georgian terms were frequently replaced by Turkish or Arabic and Persian words transferred via Turkish.

The settlement in Tao-Klarjeti, that is village – Sopeli (Turkish Koy), brought together the localized kinship-genealogical groups. The family name in its classical sense is not attested here. Instead, they had a patronymic organization consisting of genealogical groups originating from a common ancestor. Today, the more common term for these groups is ‘sulale,’ and in Klarjeti, they are also referred to as ‘kebile’. Along with Sulale and Kebile, in Klarjeti, we confirmed a Georgian term – ‘moçqdoma,’ previously unrecognized in Georgian ethnology, which refers to a small genealogical group within the traditional patronymic organization. The term ‘Moçqdoma’ means separating or segmenting from something, more precisely, a segmented branch. It directly conveys the inner essence of the genealogical branches of the patronymic organization – lineage, as a social union.

საკვანძო სიტყვები: ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული ყოფა, დასახლების სისტემა ტაო-კლარჯეთში, ნათესაურ ურთიერთობათა სისტემა.

Keywords: Ethnographic life of Tao-Klarjeti, settlement system in Tao-Klarjeti, system of kinship relations.

შესავალი

ტაო და კლარჯეთი საქართველოს ისტორიული კუთხეები, ხოლო ტაოელები და კლარჯები ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფები იყო. ეს კუთხეები რამდენიმე საუკუნის მანძილზე ოსმალეთის სახელმწიფოში იყო მოქცეული და დღესაც თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. ტაოელთა და კლარჯთა ნათესაურ ურთიერთობათა სისტემა, მათ შორის, ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი, ტრადიციული ხასიათისა იყო (კლარჯეთი 2016: 290-298; ტაო 2020: 267-285; მგელაძე 2021: 179-195). სტრუქტურულ მოდელში იგი ქართველი ხალხის ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის ნიშანდობლივ ტიპოლოგიურ აგებულებას ინარჩუნებს, თუმცა იმის გამო, რომ ტაოელებსა და კლარჯებს ხანგრძლივი დროის მანძილზე, გვიანი შუასაუკუნეებიდან, ქართულენოვანი მონათესავე ჯგუფებისაგან იზოლირებულად არსებობა და ახალ ეთნიკურ გარემოცვაში განვითარება უხდებოდათ, მათმა ნათესაობის სისტემამ ცვლილებები განიცადა, რაც უპირველესად ტერმინოლოგიაშიც აისახა. ქართული ტერმინები, ხშირ შემთხვევაში, თურქულიდან ანდა თურქულის გზით შემოსულმა არაბულმა და სპარსულმა სიტყვებმა ჩაანაცვლა.

ცნობილია, რომ ქართული გვარ-სახელები, ასევე, მეორე მემკვიდრეობითი სახელები ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფოდა: ეპონიმური, ეთნონიმური (სატომო – ნუგზარ მგელაძე), გეოგრაფიული და პროფესიული, რომელთაგან პრიორიტეტი ეპონიმურ გვარსახელებს და მეორე მემკვიდრეობით სახელებს ეკუთვნოდათ (თოფჩიშვილი 2005: 282). აქ მეხუთე ჯგუფიც გამოიყოფა, რომელსაც „შერქმეულ გვარსახელებს“ უწოდებენ. ასკვნიან, რომ შერქმეული გვარი არსებითად გვარის ფორმით წარმოდგენილი მეტსახელია, უმეტესად „მე“სა და „შვილ(ი)“ზე დაბოლოებული (მაისურაძე 1979: 51), თუმცა ზოგიერთი ავტორი ასეთი ჯგუფის ცალკე გამოყოფას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და მას ჩვეულებრივ ეპონიმურ გვარსახელთა წრეს აკუთვნებს (თოფჩიშვილი 2005: 282-283). საკუთრივ ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვადასხვა შედგენილობის შტო-გვარებს გამოყოფენ, კერძოდ, ტაოში ასეთი შტო-გვარები ნაწარმოებია: 1. საკუთარი სახელისაგან (ვაჩეთები, ბექირიანი, შირინები/შირინიანი); 2. ხელობის სახელისაგან (ხოჯიანი, მეძაღლენი); 3. მეტსახელისაგან (ჩოღალიანი/ჩოღალები, თულუდიანი კუდიანი, რომელიც ქართველთა მიერ შერქმეული თურქების აღმნიშვნელი მეტსახელია); 3. წარმომავლობის სახელისაგან (ქვაბელი). ბუნებრივია, შესაძლებელია სხვა ჯგუფების გამოყოფაც (ფალავა 2017: 6; ფალავა... 2023: 244).

მეთოდოლოგია

კვლევა უმთავრესად ეყრდნობა საველე-ეთნოგრაფიული მასალას, რომელიც მოპოვებულია ტაო-კლარჯეთის სოფლებში. აღწერილია იქაური ქართული სოფლების პატრონიმიული სტრუქტურა; ნაჩვენებია ნათესაურ ჯგუფებად დაყოფილი მემკვიდრეობითი სახელების მატარებელი სოციალური ჯგუფები, ცოცხალ მეტყველებაში შემონახული ტრადიციული თუ გვიან გაჩენილი ტერმინები, მათი წარმოების თავისებურებები.

სტატიაში გაანალიზებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები გვარ-სახელთა წარმომავლობისა თუ მათი აღმნიშვნელი ტერმინების შესახებ.

მსჯელობა

მემკვიდრეობით სახელთა, კერძოდ, გვარ-სახელთა და პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიურ ჯგუფთა – ბუდე-ნათესაობების მემკვიდრეობით სახელწოდებათა წარმოების ძველი ქართული ტრადიციები ასე თუ ისე ტაო-კლარჯეთის ცალკეულ ხეობაში დღემდე შემოინახა. ტაო-კლარჯული დასახლება – **სოფელი** (თურქულად **ქოი**) ლოკალიზებულ ნათესაურ – გენეალოგიურ ჯგუფებს აერთიანებდა. აქ არ დასტურდება გვარ-სახელით გამოხატული კლასიკური მნიშვნელობის გვარი, არამედ სახეზე გვქონდა პატრონიმიული ორგანიზაცია, რომელიც ერთი საერთო წინაპრიდან წარმომდგარი ჯგუფებისაგან შედგებოდა. მათ დღეს უფრო გავრცელებული ტერმინი – „**სულალე**“, კლარჯეთში კი „**ყებილე**“ შეესატყვისება. სულალესა და ყებილეს გვერდით კლარჯეთში ჩვენ ტრადიციული პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელად ეთნოლოგიისათვის დღემდე უცნობი ქართული ტერმინი – **მოწყდომა** დავადასტურეთ, რომლის გვერდით, ბუნებრივია, ტაო-კლარჯეთში ყურადსაღებია ისეთი სიტყვებიც, რომელთაგან ნაწილი არა მარტო ეთნოგრაფიულ ყოფაში, არამედ ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და ტაო-კლარჯელთა მეზობელი ქართული კუთხეების მოსახლეობაშიცაა გამოვლენილი. ასეთებია: **გვარი, განაყოფი, განაყარი და განაყრები, ერთი სისხლი, ერთი ნესლი, ჯიგერი, მოჭრა, ჩვენები და ჩვენებიანთი, კედარო, გამრიგო და გამრიგეობა, ნატამლობა და ერთი ნატამალი, მომმე და მომმეობა, მამობა, ბიძაშვილობა** და სხვა მისთანანი (მგელაძე 1973: 75-88, 74-100; მგელაძე 2004: 97-98). ტაო-კლარჯეთის ქართულ მოსახლეობაში სისხლით ნათესავის, ჩამომავალის, ნათესაური ჯგუფის აღმნიშვნელი გვიან გაჩენილი ტერმინებიდან უნდა გამოიყოს **ხისიმი** – ნათესავი („ჩვენი ხისიმები“, ე. ი. ჩვენი ნათესავები) და **ქოქი** – ფესვი, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ლოკალიზებული ნათესაური ჯგუფის წევრი ისეთი ძველი ქართული ლექსემებითაც აღინიშნებოდა, როგორიც იყო **განაყოფი** და **განაყარი**. ტერმინები „განაყოფი“ და „განაყარი“ დიდი სახლულის სეგმენტაციის საფუძველზე წარმოქმნილ ნათესავთა ერთობაზე, მათ ერთი სახლულისაგან წარმომავლობაზე მიუთითებდა. სულხან საბა ორბელიანის მიხედვით, **განაყოფი** იყო „მომმენი გაყრილი“ (ორბელიანი 1949: 63). ლექსიკოგრაფთან ეს სიტყვა ზუსტად იმ მნიშვნელობითაა განმარტებული, როგორადაც იგი, მაგალითად, ტაოელთა მეტყველებაში გვხვდება. ტაოს გარდა ტერმინი **განაყოფი** საქართველოს სხვა კუთხეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში დღესაც შემონახულია, სადაც მათში ასევე ფუძე-სახლის ირგვლივ ნათესავთა სახლებად დაჯგუფებისა და მათი ერთობის მნიშვნელობაა გამოხატული.

კლარჯული **მოწყდომა** რაღაცისაგან მოწყდომის, რაღაცისაგან სეგმენტირების, უფრო ზუსტად, სეგმენტირებული შტოს შინაარსითაა დატვირთული და პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიური

განტოტების, როგორც სოციალური გაერთიანების შინაგან არსს, უშუალოდ გადმოგვცემს. ამ სიტყვის სოციალური მნიშვნელობის პირდაპირ სემანტიკურ და ტიპოლოგიურ შესატყვისად ჩვენ ასევე აჭარული ტერმინი **მოჭრა (ერთი მოჭრა)** და ჩვენ მიერ დადასტურებული ლაზური/ჭანური **ფლატი** გვესახება. ეს ტერმინებიც რაღაცეიდან მოჭრას, მოწყვეტას, „ნაფლაცს“, „ნაგლეჯს“ გულისხმობს, ოღონდ ამ შემთხვევაში გადატანითი მნიშვნელობით სოციალურ განზომილებაში გამოიყენება (მგელაძე 1973: 75; მგელაძე 2015: 71-72). ტერმინოლოგიურად როგორც თურქული წარმოშობის **სულალე** და **ყებილე**, ისე ქართული **მოწყდომა** წარმომავლობას, შთამომავლობას ნიშნავდა, ასევე, ერთ საერთო ტერიტორიაზე მოსახლე ნათესაურ ჯგუფს. ცალკე აღებული **მოწყდომა (სულალე და ყებილე)** უახლოესი წინაპრის საკუთარი, ანდა მეტსახელისაგან ნაწარმოები მემკვიდრეობითი სახელის მატარებელი რამდენიმე თაობის ნათესაური გაერთიანება იყო.

ტაო-კლარჯული მოწყდომები (სულალები და ყებილები) თემის უბნებში – „მაალებში“ იყვნენ განსახლებულნი და, შესაბამისად, განსახლების ნათესაურ კანონზომიერებებს ექვემდებარებოდნენ. მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) განვითარების საფუძველზე რომელიმე წინაპრის სახელდებით ახალი მოწყდომა (სულალე და ყებილე) გამოეყოფოდა და, თანდათანობით, დასახლებაში მოწყდომათა (სულალები და ყებილები) ჯგუფი იქმნებოდა, რომლებიც საერთო ტერიტორიაზე ერთმანეთის გვერდით იყვნენ ლოკალიზებული. ამდენად, მონათესავე მოწყდომათა (სულალები და ყებილები) ფართო წრე ერთი საერთო, მაგრამ უფრო შორეული წინაპრის ჩამომავლებად ითვლებოდნენ. დასახლებაში მოწყდომები (სულალები და ყებილები) ტერიტორიულ კავშირს ინარჩუნებდნენ და რელიეფი თუ ამის საშუალებას იძლეოდა, ისინი მამაპაპისეული სახლის მახლობლად ერთმანეთის გვერდით ჯგუფდებოდნენ. მაგალითად, ტაოში ამის საილუსტრაციოდ ხევას თემი შეგვიძლია დავასახელოთ, კერძოდ, ხევას თემში ბასლიკარის დასახლება. ბასლიკარში ჩვენ მიერ წარმოდგენილ სქემატურ სურათზე ოჯახის უფროსთა სახელების მითითებით მოწყდომათა (სულალები და ყებილები) განსახლება, საცხოვრებელ, სამეურნეო და სახელოსნო ნაგებობათა განლაგება ასე გამოიყურება: 1. ალი ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 2. საფეთ ბალჯი (სულალე: ბაქმაზიანი), 3. მუსტაფა ქელეში (სულალე: ბაჯადსოვანი), 4. ალი ქეჩეჯის „სათივრე“, 5. იაშა ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 6. ნესრეთ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 7. რეჯებ ბალჯი (სულალე: ბაქმაზიანი), 8. იაშა მაქასი (სულალე: მაქასიანი), 9. ნესრეთ მაქასი (სულალე: მაქასიანი), 10. აბდი ქელეში (სულალე: ბაჯადსოვანი), 11. აზის ქურსუნ (სულალე: კულუშიანი), 12. შაჰინ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 13. ჰუბეით ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 14. „სათივრე“, 15. ისმაილ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 16. შევქეთ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 17. შევქეთ ქეჩეჯის „საფუტკრე“, 18. ჰასან ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), რომლის სახლი დღეს დანგრეულია, თავად ოჯახი კი ბურსაშია გადასახლებული, 19. ქემალ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 20. ზეჟი ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 21. ხახვი ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 22. მუსტაფა ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი), 23. მუსტაფა ქეჩეჯის სამქედლო, 24. რეჯებ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯანი).



„ხევას ხეის“ – თემის დასახლების სქემა: სოფლები ბასლიკარი და გოდლეკარი, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 2018 წელი.

ბასლიკარის დასახლებაში ერთმანეთის მახლობლად ქვეყნების (ქეიჯანები - 1, 5, 6, 12, 13, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24), როგორც უმრავლესობის, განსახლება მკაფიოდ იკვეთება, რაც ამ მხრივ დასახლების ტრადიციულ იერსახეს სრულად გადმოგვცემს. სულალეთა ტერიტორიული განლაგების თვალსაზრისით, ასევე, საინტერესოა ამავე თემის, ხევას დასახლებული პუნქტი – გოდლეკარი, სადაც დანომრილი საცხოვრებლების განსახლების მოზაიკა შემდეგ სურათს გვიჩვენებს: 1. რეჯებ ქეჩეჯი (სულალე: ქეიჯან’ი) „საფუტკრე“, მიწა, რომელიც იჯარით აქვს აღებული, წელიწადში 500 ლირად, 2. მევლუდ გენჩითურქი (სულალე: საილან’ი, იგივე, სადოღლი), 3. ალი გუმუშოღლი (სულალე: სოითრან’ი), 4. რეჯებ ჩაუშოღლი (სულალე: იბრიმიან’ი, იგივე, ქაუტებ’ი), 5. დუქანი (მაღაზია: „მარკეტი“), 6. თეიფიქ გენჩითურქი (სულალე: საილან’ი), 7. ყურბან დემირჯი (სულალე: უნუზიან’ი), 8. ბესიმ ჩაუშოღლი (იბრიმიან’ი, იგივე, ქაუტიან’ი), 9. ნაზირე აიდიანი (სულალე: თათარიანი), 10. ნეჯრეთ გუმუშოღლი (სულალე: სოითრან’ი), 11. იასარ ბაირახტარ’ი (სულალე: კულახსუიან’ი), 12. ძველი დუქანი, სადაც რკინისაგან დამზადებული საგნები იყიდებოდა, 13. რამაზან გუმუშოღლი (სულალე: სოითრან’ი), 14. მეჰმედ გენჩითურქი (სულალე: საილან’ი), 15. მუსტაფა ყაზანოღლი (სულალე: კალაჯიან’ი), 16. მუსტაფა ყაზანოღლის ძველი სახლი, 17. მევლუდ ბათმაზ’ი (სულალე: დოლენჯიანი), 18. უსეინ აიდილი (სულალე: თათარიანი), 19. ფუაქ ჯუმუშოღლი (სულალე: სოითრანი), 20. ოსმან ბათმაზ’ი (დოლენჯიანი), 21. ოსმან ბათმაზის მაღაზია – „მაკეტი“, 22. მეჩეთი

მინარეთით. იქ, სადაც მეჩეთია (№22), ზემოთ დასახლებული „მეელები“ – უბნები კიდევაც წარმოდგენილი, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა: ჭილანკარი (ჭილენკარი), კრაეკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, ჰამფიანკარი, ხოცეთები, ფიშნარხევი, აზლენკარი, ქედაზორი (ქეჩეჯი, 2018; მგელაძე 2020: 261-262).

ტაო-კლარჯული დასახლებები საერთო წარმომავლობის სოციალურ ჯგუფთა განსახლების თავისებურებებით გამოირჩეოდა. ამგვარი ჯგუფების დიდი ნაწილი უბნების, სოფლებისა და თემების – ხევთა ფარგლებში კომპაქტურად, ზოგან კი – გაფანტულად სახლობდა. მემკვიდრეობითი სახელწოდებები – მცირე გენეალოგიური ჯგუფებისა და გვარსახელთა უმრავლესობა ხშირი სეგმენტაციისა თუ ისტორიული კატაკლიზმის შედეგად, დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდიდა, ძველი სახელი იკარგებოდა ანდა მეხსიერებაში რჩებოდა, ზოგჯერ თანამედროვე რეალიტთან შესატყვისობაში ახლით იცვლებოდა, თუმცა ცვლილება მუდამ ქართული ტრადიციის – გენეალოგიური განვითარების საფუძველზე ხდებოდა. გვარ-სახელები თურქულ ყაიდაზე ფორმდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მათში დაცული იყო წინაპრის საკუთარი, მეტსახელისა თუ სხვა ტიპის სახელის თაობიდან თაობაში ტრანსმისიის პრინციპი. ასე ხდებოდა ახალი გვარების – გვარსახელებისა და მცირე ნათესაური ჯგუფების – მემკვიდრეობითი სახელების წარმოქმნა.

ტაო-კლარჯეთში მოწყდომათა (სულალებისა და ყებილების) საწყისი სახელეულის გენეალოგიურ ბირთვში რომ იღებდა სათავეს, კარგად იყო გამოხატული ისეთ ტაოურ სოციალურ ტერმინში, როგორიცაა **ქოხის სახელი**, რაც სახლიდან, სახლეულიდან მემკვიდრეობით მომდინარე ბუდე-ნათესაობის აღმნიშვნელ სახელს ნიშნავდა (მგელაძე 2020: 265) და არა გვარის სახელს (ფაღავა... 2020: 823, 862, 863, 1123, 1027, 1161, 1172, 1184). მამია ფაღავას თანახმად, ტაოურ სოფელში „სახლის გვარის“/„ქოხის სახელის“ საცხოვრის უბანი წარმოადგენს, კერძოდ, შტო-გვარები ჯგუფებად ცხოვრობენ და უბანს ქმნიან (ფაღავა 2017: 4, 6). „ქოხის სახელი“ შინაარსობრივად თითქოსდა მოწყდომის (სულალებსა და ყებილებს) თანაბარი ტერმინი იყო, მაგრამ მასში მაინც მოწყდომის (სულალებსა და ყებილებს) განვითარების პირველი საფეხურის ლოკალიზებული გენეალოგიური ბირთვის სახელწოდების, მოწყდომის (სულალებსა და ყებილებს) მემკვიდრეობითი სახელის თავდაპირველი არეალის მნიშვნელობა იყო ასახული და მიუთითებდა ამა თუ იმ ქოხიდან – სახლიდან მოწყდომის (სულალებსა და ყებილებს) წარმომავლობაზე. ტერმინი – **ქოხის სახელი** პირდაპირ გამოხატავდა იმ სოციალური უჯრედის ბუნებას, საიდანაც ნათესაურ გაერთიანებათა სეგმენტს ედებოდა საფუძველი. **ქოხი** ტაოში სახლს აღნიშნავდა, ე. ი. სახლის უფროსისაგან – მამამთავრისაგან მომდინარე ბუდე-ნათესაობის მემკვიდრეობითი სახელი სახლეულთან და სახლეულის სეგმენტაციის პროცესთან იყო დაკავშირებული. წინაპრის საკუთარი სახელები თუ მეტსახელები, თანდათანობით, საფუძველად ისეთ ნათესაურ ჯგუფებს ედებოდა, რომლებიც რამდენიმე თაობის გენეალოგიას, უმეტესად, სამი და ხუთი, ანდა შვიდი თაობის ლინიჯს წარმოქმნიდა, რომელთა სახელწოდებები გარკვეული სუფიქსის დართვით იყო გაფორმებული.

მემკვიდრეობით სახელთა, კერძოდ, გვარ-სახელთა და პატრონიმიული ორგანიზაციის მცირე გენეალოგიურ ჯგუფთა – ბუდე-ნათესაობების მემკვიდრეობით სახელწოდებათა წარმოების ძველი ქართული ტრადიციები ასე თუ ისე ტაო-კლარჯეთის ცალკეულ ხეობაში დღემდე შემოინახა. ცნობილია, რომ ქართული გვარ-სახელები, ასევე, მეორე მემკვიდრეობითი სახელები ძირითადად ოთხ ჯგუფად იყოფოდა: ეპონიმური, ეთნონიმური (სატომო – ნუგზარ მგელაძე), გეოგრაფიული და პროფესიული, რომელთაგან პრიორიტეტი ეპონიმურ გვარსახელებს და მეორე მემკვიდრეობით სახელებს ეკუთვნოდათ (თოფჩიშვილი 2005: 282). აქ მეხუთე ჯგუფიც გამოიყოფა, რომელსაც „შერქმეულ გვარსახელებს“ უწოდებენ. ასკვნიან, რომ შერქმეული გვარი არსებითად გვარის ფორმით წარმოდგენილი მეტსახელია, უმეტესად „მე‘სა“ და „შვილ(ი)‘ზე“ დაბოლოებული (მაისურაძე 1979: 51), თუმცა ზოგიერთი ავტორი ასეთი ჯგუფის ცალკე გამოყოფას დაუსაბუთებლად მიიჩნევს და მას ჩვეულებრივ ეპონიმურ გვარსახელთა წრეს აკუთვნებს (თოფჩიშვილი 2005: 282-283). საკუთრივ ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვადასხვა შედგენილობის შტო-გვარებს გამოყოფენ, კერძოდ, ტაოში ასეთო შტო-გვარები ნაწარმოებია: 1. საკუთარი სახელისაგან (ვაჩეთები, ბექირიანი, შირინები//შირინიანი); 2. ხელობის სახელისაგან (ხოჯიანი, მეძალენი); 3. მეტსახელისაგან (ჩოლაღიანი/ჩოლაღები, თულუღიანი კუდიანი, რომელიც ქართველთა მიერ შერქმეული თურქების აღმნიშვნელი მეტსახელია); 3. წარმომავლობის სახელისაგან (ქვაბელი). ბუნებრივია შესაძლებელია სხვა ჯგუფების გამოყოფაც (ფაღავა 2017: 6; ფაღავა... 2023: 244).

ტაო-კლარჯეთშიც მემკვიდრეობითი სახელის წარმოება, ჩვეულებრივ, წინაპრის საკუთარი და მეტსახელიდან ხდებოდა განსაზღვრული სუფიქსების, ძირითადად, გვიან გაჩენილი ოსმალური -**ოღლი** ფორმანტის დართვით. წინაპრის მეტსახელთან, რომელიც ტერმინ „**ლაღაბი**‘თ“, იგივე, „**ლაღუბი**‘თა“ თუ „**ლაღაბე**‘თი“, ანდა „**მეგლი**‘თ“ აღინიშნებოდა, დაკავშირებული იყო ძველი ბუდე-ნათესაობების სტრუქტურულ უჯრედთან – „მოწყდომა‘სთან“, იგივე, „სულალე‘სთან“ და „ყებილე‘სთან“. უფრო ზუსტად, ტაოში წინაპრის მეტსახელი ტერმინ „**ლაღაბი**‘თ“ (**ლაყაბი**), კლარჯეთში კი – ლაღაბთან (**ლაღაბე/ლაღუბი**) ერთად „**მეგლი**‘თაც“ აღინიშნებოდა დამოწყდომათა (სულალეთა და ყებილეთა) სახელწოდებების თანმხლები მოვლენა იყო. წინაპრის მეტსახელი რაღაც გამორჩეული და გამოკვეთილი თვისებების გამო ერქმეოდა. რადგან წინაპრის მეტსახელი – **ლაღაბი** (ლაყაბი/ლაღაბე/ლაღუბი) და **მეგლი** რამდენიმე თაობაში მოწყდომათა (სულალეთა და ყებილეთა) სახელწოდებად იქცეოდა ხოლმე, ამდენად, ზოგიერთი მოწყდომა (სულალე და ყებილე) ზოგჯერ ლაღაბად მოიხსენიებოდა, ე.ი. ადგილობრივი მოსახლეობა მოწყდომასა (სულალესა და ყებილეს) და ლაღაბს მნიშვნელობით ერთმანეთთან ათანაბრებდა. სინამდვილეში, **მოწყდომა** (სულალე და ყებილე) – ინდივიდთა წარმომავლობითი ერთობა იყო, ნათესაური ჯგუფი, რომელსაც წინაპრიდან ჰქონდა სახელი მიღებული, მისი უახლოესი წინაპრის საკუთარ თუ საოჯახო სახელს ანდა მეტსახელს – ლაღაბს საერთო სახელწოდებად ატარებდა და მემკვიდრეობითი სახელდებით რამდენიმე თაობაში გენეალოგიას

წარმოქმნიდა. ასე რომ, ტაო-კლარჯეთში ლაღაბი პატრონიმიულ ორგანიზაციაში წარმოდგენილი მცირე ნათესაური ჯგუფის – მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) აღმნიშვნელი სახელი იყო, ხშირად უახლოესი წინაპრის მეტსახელიდან იწარმოებოდა და ტრადიციის საფუძველზე ყველა ტიპის მოწყდომაზე (სულალესა და ყებილეზე) ვრცელდებოდა. წინაპარზე ერთხელ შერქმეული სახელი თაობათა გასვლის შემდეგ ნათესაურ ჯგუფს უმკვიდრდებოდა. ამიტომაც იყო ნათესაურ ჯგუფს – მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) ზოგადად ლაღაბსაც რომ ეძახდნენ, ე. ი. **ლაღაბი** იყო როგორც პიროვნების მეტსახელი, ისე ნათესაური – გენეალოგიური ჯგუფის აღმნიშვნელი, გენეალოგიურ ჯგუფზე შერქმეული სახელწოდებაც, რომელიც სახლეულის ოჯახებად გაყოფისა და, შესაბამისად, სახლეულის ფარგლებში წარმოდგენილი გენეალოგიური ბირთვის სეგმენტაციისას, უფრო ფართო წრეზე – განაყოფ სახლთა ერთობაზე ვრცელდებოდა და მათ ზოგად მემკვიდრეობით სახელად იქცეოდა. ლაღაბის მატარებლად ისეთი მოწყდომები (სულალები და ყებილები) ითვლებოდა, როგორებიც იყო, მაგალითად, „დელიოლი“, „ჩაუშოლი“, „ხოლოლი“ (სოფელი ბოსტანჯი), „კაკაჩი“ (სოფელი საგდიყანა) და სხვა მისთანანი. ტაოელი რესპონდენტები მოგვითხრობდნენ მეტსახელებთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიებს, რომლებიც მემკვიდრეობითი სახელების წარმოშობასა და წარსულთანაა დაკავშირებული (ქუჩუქშენი, 2018). საერთოდ, ლაღაბი იყო ის ორიენტირი, რომლითაც დიდ დასახლებაში ამა თუ იმ ნათესაური ჯგუფის წარმომავლობა და ადგილმდებარეობა ისაზღვრებოდა. ადგილები, ე. წ. „იერები“ მოწყდომების (სულალებისა და ყებილების) მიხედვით იყო განლაგებული. ზოგჯერ დასახლების სახელწოდებებიც მემკვიდრეობითი სახელებიდან წარმოსდგებოდნენ.

ტაო-კლარჯეთში წინაპრის საკუთარი ანდა შერქმეული სახელიდან წარმოქმნილ მოწყდომათა (სულალები და ყებილები) მემკვიდრეობითი სახელები **-ან (-იან)**, იშვიათად **-არ** სუფიქსით ბოლოვდება. მაგალითად, ტაოში, სოფელ სავრიათში ასეთი იყო **-იან** სუფიქსით ნაწარმოები მოწყდომები (სულალები და ყებილები) – თოფლიან’ი, ჰელიმიან’ი, ხოჯიან’ი, ეფენდიან’ი, კავაზიან’ი, ლახტარ’ი (გულბეზი 2018). ასევე, **-ან (-იან)** სუფიქსიანი წარმოება გვხვდება ტაოს სხვა დასახლებებშიც შემდეგი ფორმით: კოიდიანი, კავლიანი, მუსიანი, ისმაილოლიანი, ეიბიანი. ლიტერატურაში უკვე დადგენილია ტაო-კლარჯელთა „ძველი გვარების“ (მთხრობელთა გადმოცემით – „ესქი სოიადები’ს“ – ნუგზარ მგელაძე) **-იან** სუფიქსით წარმოების წესი, რომელიც მამაკაცის საკუთარ სახელს ანდა მეტსახელს ერთვოდა და, როგორც მკვლევრები გვიდასტურებენ, ბუდე-ნათესაობების მემკვიდრეობით სახელებს აფორმებდა. აქ უკვე მამია ფაღავა მართებულად თვლის, რომ ეს არ იყო გვარი ტრადიციული გაგებით, არამედ მეტსახელს წარმოადგენდა და შერქმეული თუ დარქმეული იყო წინაპრის სახელის – პატრონიმის მიხედვით. მაგალითად, ასეთები იყო: ქოიდ-იან-ი, კავლ-იან-ი, მუს-იან-ი, ისმაილოლ-იან-ი, ეიბ-იან-ი, აილ-იანი, კოიდ-იან-ი, პაჩელ-იან-ი, ბასლ-იან-ი, იბრაიმ-იან-ი, ნაბ-იან-ი, სალ-იან-ი, თათარ-იან-ი, მაჰმად-იან-ი... (ფაღავა 2017: 3-4). **-ან (-იან)** ძველი ქართული ფორმანტია, რომელიც ტაოს გარდა საქართველოს

არაერთ კუთხეშია გავრცელებული, განსაკუთრებით იგი სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფას შემორჩა (მგელაძე... 1996: 185, 193-198). სვანეთში ამ ტიპის მემკვიდრეობით სახელთა წარმოება საყურადღებოა მრავლობითი რიცხვისა და შტო-გვართა აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებლის თვალსაზრისით, სადაც სახელს მრავლობითის მორფემა **-არ** ანდა საერთო-ქართველური სუფიქსი **-ან** უშუალოდ მიერთვის, რომელიც ასევე კრებითობას, სიმრავლეს, ჩამომავლობას ნიშნავდა (ჩანტლაძე 1967; 1998: 182-183). ტაოს სინამდვილეში გვხვდება **-ს[ი]ან** მაწარმოებელიც, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა ღვედესანი ანდა ყულახსვანი: < ყულახი-სვან, ყულახ-სან. თვლიან, რომ **-ვ** შემდეგ უნდა იყოს განვითარებული (ფაღავა 2017: 4).¹ აქვე ჩვენ სახეზე გვაქვს მემკვიდრეობითი სახელების თურქულენოვანი სუფიქსით გაფორმებაც. მაგალითად, „ქოთანალაროლი“, თუმცა **-ლარ** ფორმანტი უფროადგილთაგეოგრაფიულ სახელებში იჩენს თავს. არჯევანში ერთ-ერთ მაალეს სახელწოდება „წითელოღულარი“ იყო. აღვნიშნავთ: **-ლარ** ქართულ **ებ**’ს შეესატყვისება და მემკვიდრეობით სახელებშიც ამ მონაცვლეობის ამსახველი მასალა ტაოში არაერთგზის მოწმდება. ისე კი საკუთრივ **-ებ**’იანი წარმოება ტაოში კონკრეტულადაა დადასტურებული: ხლათ-ებ-ი, ზურნ-ებ-ი, ბასტა-ებ-ი, ფესტილ-ებ-ი, ფუქშებ-ებ-ი, თოზულ-ებ-ი, პაწა-ებ-ი, ყემბერ-ებ-ი, შირინ-ებ-ი. საგულისხმოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, ზოგჯერ **-ებ**’იანი და **-იან**’იანი სუფიქსები რომ მონაცვლეობენ: ხლათ-ებ-ი – ხლათ-იან-ი, ფესტილ-ებ-ი – ფესტილ-იან-ი, ტარლოლ-ებ-ი – ტარლოლ-იან-ი (ფაღავა 2017: 6).

ტაო-კლარჯეთში ყურადღებას იქცევს **-ოღლი** ბოლოსართი. ოღლი თურქულში „შვილს“ ნიშნავს. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ **-ოღლი** ფორმანტით მემკვიდრეობითი სახელების გაფორმება თურქეთში მხოლოდ ქართულ მოსახლეობას ახასიათებდა, უპირატესად, ჭოროხის აუზის ქართულ მოსახლეობას. იგი ქართული **-ძე**’სა და **შვილი**’ს პირდაპირი თარგმანი იყო. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე შენიშნულია, რომ **-იან** სუფიქსიანი მემკვიდრეობითი სახელები **-ოღლ** სუფიქსიანმა შეცვალა. აქ აშკარაა, რომ **-ოღლ**’ით გაფორმებული ბუდე-ნათესაობათა მემკვიდრეობითი სახელები **-იან** სუფიქსიანი ანალოგიითაა შექმნილი. მართლაც, პრინციპი ერთია, წარმოება კი – სხვადასხვა, შესაბამისად, ეს მოვლენა ტაოში მიმდინარე კულტურათა დიალოგის ერთი გამოვლენაა, კერძოდ, პროცესი, როცა ერთ კულტურას მეორე ენაცვლება, თუმცა ტაოელთადაკლარჯთა კულტურული მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ინახავს ძველს, წინაპართაგან ნაანდერძევს, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ კულტურულ-ი სტორიული მემკვიდრეობა მდგრადია და ნელა დევალუაზიანდება (ფაღავა 2017: 5-6). საინტერესოა ისიც, რომ მემკვიდრეობითი სახელებით გაფორმებული ასეთი ნათესაური ჯგუფები ოსმალური ნათესაობის სტრუქტურისაგან განსხვავდებოდა, რადგან ისინი მრავალსაფეხურიან გენეალოგიას ქმნიდნენ. ნათესაურ ერთობათა ოსმალური სახელდებები შვილიშვილის თაობაში იკარგებოდა. მაგალითად, თუ ოსმანის შვილი, სახელად ახმედი, ოსმანოღლი ხდებოდა, ახმედის შვილი – თურგუთი, არა ოსმანოღლის, არამედ – ახმედოღლის სულალეს იღებდა. ეს უხერხულობა

¹ შეადარეთ **-სან**’ი აჭარაში (მგელაძე 1973: 89).

თურქეთში შემჩნეული იყო ათათურქის მოღვაწეობის პერიოდში, რამაც გვარის რეფორმებიც განაპირობა. ჩანს, რომ ტაოელებსა და კლარჯებში, ისე როგორც ჭოროხის აუზის სხვა ეთნოგრაფიულ ჯგუფებში, წარსულში მეორე მემკვიდრეობითი სახელისაგან – ბუდე ნათესაობის სახელთაგან განსხვავებით, გვარსახელური წარმოების გვარი ტიპური არ იყო და იგი გვიან შუასაუკუნეებშიც არ ჩამოყალიბებულა, რადგან იმ პერიოდში ჭოროხის აუზის მხარეებში, განსხვავებით ოსმალეთის მიღმა დარჩენილი ქართული პროვინციებისა, პროცესები ოსმალურ ყაიდაზე წარიმართა, სადაც გვარისა და, შესაბამისად, გვარსახელის ტრადიცია საერთოდ არ არსებობდა. მეორე მემკვიდრეობითი სახელიც კი თურქული წარმომავლობის ხალხებში მამის გარდაცვალების შემდეგ შვილიშვილის თაობაში არსებობას წყვეტდა, ე. ი. როგორც ითქვა, ახმედის შვილი მუხამედი თუ ახმედოღლი ხდებოდა, უკვე მუხამედის შვილი ხასანი ახმედოღლად აღარ იწოდებოდა და მუხამედოღლად იწერებოდა, მაშინ როცა ქართული სოციალური ტრადიციული სტერეოტიპების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ჭოროხის აუზის ქართულ მოსახლეობაში სუფიქსები შეიცვალა და **-ძე** ანდა **-შვილი** ფორმანტი თურქული **-ოღლი** სუფიქსით გაფორმდა, წინაპარზე ერთხელ შერქმეული სახელი თაობებში მემკვიდრეობით გადადიოდა და გენეალოგიურ სტრუქტურას წარმოქმნიდა. როცა საქართველოში გვარ-სახელით გვარი გაჩნდა, ქართულ პროვინციებში მეორე მემკვიდრეობითი სახელის მატარებელი გენეალოგიური სემენტები ერთი გვარ-სახელის ფარგლებში გაერთიანდა, მომდევნო გვარ-სახელები კი ამა თუ იმ მეორე მემკვიდრეობითი სახელის მატარებელი ჯგუფებისაგან ჩამოყალიბდა და შემდეგ ისინი კვლავ ნათესაურ სემენტებად დიფერენციაციის გზას დაადგა. თავად თურქეთში, სადაც, როგორც აღინიშნა, გვარის წარმოების ტრადიცია არ არსებობდა, გვარ-სახელების შემოღება სახელმწიფოს ოფიციალურ გადაწყვეტილებით ათათურქის რეფორმების საფუძველზე XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში განხორციელდა. იგი მოქალაქეთა პასპორტიზაციის აუცილებლობით იყო განპირობებული. ასეთ გვარებს თურქეთში სოიად'ი ეწოდება. სოფლად წარმოქმნილი ცალკეული მეორე მემკვიდრეობითი სახელები უკვე ასეთ **სოიადთა** ფარგლებში მოექცა.

ტაო-კლარჯეთის ხეობებში „მოწყდომა'თა“ (სულალეთა და ყებილეთა) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიწაზე მათ მფლობელობასა და საკუთრებაში იყო გამოხატული, ასევე, მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) წევრთა სოლიდარობაში, უფლება-მოვალეობებში სოციალურ და ქონებრივ ურთიერთობათა სფეროში. უახლოეს წარსულში ტაო-კლარჯეთის სათემო სათიბები თუ ჭალები და ტყეები ოჯახებსა და მოწყდომებზე (სულალებსა და ყებილებზე) იყო განაწილებული. ტყეში ხეები მოწყდომათა (სულალეთა და ყებილეთა) ამა თუ სახლეულის წარმომადგენლთა მიერ ჩაიჭრებოდა და ინიშნებოდა. ამას **ხაჩი** ერქვა, რადგან ნიშანი ჯვრის ფორმას ატარებდა. მიჯნით, ე. წ. „სინორი'თ“ ნიშანდადებულ ტყეთა საზღვრების მეშვეობით, განსხვავებული წარმომავლობის ნათესაური ჯგუფები თავიანთ ტყეს სხვებისაგან გამოყოფდა. მაგალითად, ტაოში, ხევას ხევის სოფლების საოჯახო მიწისმფლობელობის ფორმებში საკუთრების ამ ტიპის საგვარეულო-პატრონიმიული და სათემო ნაირსახეობა ყველაზე

თვალსაჩინოდ იყო გამოკვეთილი. სხვის ტყეში ამა თუ იმ მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) წარმომადგენელი არ შედიოდა, შესაბამისად, სხვის ტყეში შრომით საქმიანობასაც არ ეწეოდა. ზოგჯერ ტყეში ერთ ანდა ორ სახლს – „ქოხს“ განსაზღვრული ნაკვეთი საერთო-საზიარო მფლობელობასა და სარგებლობაში ჰქონდა. მაგალითად, ხევას თემში საკუთრივ ხევას დასახლების სულალეთა ასეთი ნაკვეთები იყო: 1. ქეიჯან ტყე; 2. საილიან ტყე; 3. კულეიშიან ტყე; 4. მუთაფიან ტყე; 5. ბაქმაზიან ტყე; 6. დოლეჯიან ტყე; 7. თათარიან ტყე; 8. კულვანი ტყე; 9. მოლახლიან ტყე; 10. საიდევ ტყე; 11. ბასტაებ ტყე; 12. მოლელიანი ტყე; 13. მომვან ტყე. სოფელ ქონობანის სულალეთა ტყეებად მიიჩნეოდა: 1. ეიბიან ტყე; 2. კაიან ტყე; 3. კანთელიან ტყე; 4. ელიფიან ტყე; 5. ჰამფიან ტყე; 6. იაღლიან ტყე; 7. მახასიან ტყე. სოფელ იეთის ტყეები შემდგენიარად იყო განაწილებული: 1. კოდელიან ტყე; 2. უნუხიან ტყე; 3. ქელეჯებ ტყე; 4. კავლიან ტყე; 5. იაღობიან ტყე; 6. კედელიან ტყე; 7. კოლეტიან ტყე; 8. მუსიან ტყე; 9. ისიან ტყე; 10. უსეინიან ტყე; 11. კურდვან ტყე. სოფელი ელიასხევი: 1. იემადიან ტყე; 2. ფერსეთეფ ტყე; 3. სარი ბეგებ (ყვითელი ბეგები) ტყე; 4. ქანდრიან ტყე; 5. იაზიჯებ ტყე; 6. ბოები. აქ ჭალებიც – სათიბებიც მოწყდომების (სულალეებისა და ყებილეების) მიხედვით იმავე პრინციპით იყო დაყოფილი, როგორადაც ტყეები. ადრე ესა თუ ის ტყე და საჭალე ნაკვეთი მხოლოდ ერთ სახლს – „ქოხს“ ეკუთვნოდა. სახლეულის სეგმენტაციის შემდეგ ძმებს შორის ტყე და ზოგიერთი ჭალა არ იყოფოდა და საზიაროდ რჩებოდა. ვთქვათ, თუ ოთხი ძმა იყოფოდა, მაშინ ჭალა მთლიანად მოწყდომის (სულალესა და ყებილეს) სახელწოდების მიხედვით აღინიშნებოდა, მაგრამ მრავალრიცხოვანი მოწყდომის (სულალესა და ყებილეს) სახელწოდების ფარგლებში ჭალა, შესაძლოა, ერთი სახლიდან ნაყარი მხოლოდ ოთხი ძმის საერთო საკუთრება ყოფილიყო. როცა ქოხი გაიყოფოდა ძმები ჭალებსა და ტყიან ნაკვეთებს ინაწილებდა, ე. ი. შესაძლოა საზიაროდ არ დაეტოვებინათ, მაგრამ მაინც ნაკვეთები მთლიანად მოწყდომის (სულალესა და ყებილეს) სახელდებით მოიხსენიებოდა.

ტაო-კლარჯეთში წარსულში საერთო-სათემო სარგებლობაში იყო წყლებიც, განსაკუთრებით, სარწყავი წყლები, რომლებიც თემში ოჯახებსა და მოწყდომებზე (სულალეებზე და ყებილეებზე) იყო გადანაწილებული. სოფელში წყალი საერთო ძალისხმევით ნაგები არხით შემოდიოდა და შემდეგ კომლებზე ნაწილდებოდა, რომლებიც წყლით მორიგეობით სარგებლობდნენ: ერთ ოჯახს რიგი შაბათს უწევდა, მეორეს – კვირას და შემდეგი დღეებიც თანმიმდევრულად სხვებზე ნაწილდებოდა. საერთო სარგებლობაში მყოფი წყლის რიგს ზოგჯერ თემის მეზობელი სოფლის წარმომადგენლებიც იკავებდნენ. ამ შემთხვევაში თემში რამდენიმე მეზობელ – მონათესავე დასახლებას საერთო წყალი ჰქონდა გადმოყვანილი.

დასკვნები

ამდენად, როგორც საველე-ეთნოგრაფიული მასალები ადასტურებს, ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობა სოფლად პატრონიმიული სტრუქტურისა იყო. პატრონიმიულ ქსელში ერთიანდებოდა არა გვარი თავისი მონათესავე უჯრედებით, რადგან გვარებმა გვარ-სახელებით ტაოელებსა და კლარჯებში ფორმირება ვერ მოასწრო, არამედ ცალკეული

წინაპრიდან წარმომდგარი გენეალოგიური სეგმენტები, ნათესაურ ჯგუფებად დაყოფილი მემკვიდრეობითი სახელების მატარებელი სოციალური ჯგუფები. ასეთი ნათესაური ჯგუფის ზოგადი სახელწოდება იყო ქართული **მოწყდომა**, ხოლო თურქული – **სულალე** და **ყებილე**. **მოწყდომა** (სულალე და ყებილე) დაახლოებით იმ ტიპის სახელწოდება იყო, როგორსაც წარმოადგენდა აჭარული **ნოგრო**, ერთი **მოჭრა**, **სამმო** და **მომმიანობა**, **მამაშვილობა**, **ბიძაშვილობა**, **თოხუმი**, ლაზური **ფლატეი** და **ჯუმალეფე**, მეგრული **თური**, **დინო** და **გმნარყი**, სვანური **ლამხუბ** (**სამხუბ**), დასავლურ ქართული **ბაბუიშვილობა** და **ბუნობა** (**ბუნე**), **შტო-გვარი**, **გვარ-მეტი**, **გვარზე მეტი**, აღმოსავლურ-ქართული **კომობა**, **მამიშვილობა** (**მამაშვილობა**) და **ბუდობა** (მგელაძე 2022). ესენი ბოლო პერიოდამდე ცოცხალ მეტყველებაში შემონახული ტრადიციული ტერმინები იყო. მათ გვერდით მკვლევრები სოციალური ერთობის მამამთავარი წინაპრის საკუთარი ანდა მეტსახელისგან ნაწარმოები მოწყდომათა (სულალეთა და ყებილეთა) მსგავსი გაერთიანებების აღსანიშნავად ცდილობდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში ისეთი ზოგადი ცნებები დაემკვიდრებინათ, როგორებიცაა „შტო-გვარი“ (სიმონ ჯანაშია, იზა ჩანტლაძე), „ქვეგვარი“ (ვერა ბარდაველიძე), „ოჯახის სახელი“ (ბესარიონ ჯორბენაძე, გიგი ხორნაული), „მეტ-გვარი“ (სერგო მელიქაძე), „გვარის დანაყოფი“ (როლანდ თოფჩიშვილი), „ბუდე-ნათესაობის მემკვიდრეობითი სახელი“ (ნუგზარ მგელაძე), „მეტსახელი გვარები“ ანდა „ლაღაბი გვარები“ (მამია ფაღავა), რომელთათვის დამახასიათებელი იყო მემკვიდრეობითი სახელები, ისე როგორც გვარისათვის – გვარსახელი, იგივე, მემკვიდრეობითი სახელი (მგელაძე 2001: 25-26, 28). ამასთან, ავტორთა ნაწილი თვლის, რომ გვარსახელი, როგორც მემკვიდრეობითი სახელი, შთამომავლობას სამი თაობის განმავლობაში მაინც გადაეცემოდა (თოფჩიშვილი 2005: 287). აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ტაო-კლარჯეთში მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) ტიპის სოციალური ჯგუფების სახელწოდებები, მართლაც, მემკვიდრეობითი სახელები იყო, რადგან თაობიდან თაობაში გადადიოდნენ, მაგრამ ისინი აშკარად პირველადი წარმომავლობისა იყო და, შესაბამისად, ფორმითაც ძველი, ვიდრე გვარ-სახელები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სახელწოდებათა წარმოების ბუნება ტიპოლოგიურად მსგავსი იყო. თუ მოწყდომათა (სულალეთა და ყებილეთა) მსგავსი სახელწოდებები რამდენიმე თაობაზე ვრცელდებოდა, საქართველოში ცნობილ გვარ-სახელებში მოქცეული გვარის, ტაო-კლარჯეთის შემთხვევაში კი – გვიან გაჩენილი სოიადის გენეალოგია იმდენად ფართო იყო, რომ მისი წევრები ხშირად ერთმანეთში შორეული წინაპრიდან საერთო წარმომავლობას და, მით უმეტეს, ნათესაობას ვერ აცნობიერებდნენ. მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) მსგავსი ნათესაური გაერთიანება და ლოკალიზებული გვარი ანუ **საგვარეულო** გვარ-სახელით ერთი დამოუკიდებელი ტიპის სოციალური ორგანიზაციის, კერძოდ, პატრონიმიული ორგანიზაციის ორი სხვადასხვა დონის გენეალოგიური სეგმენტი, საერთო გენეალოგიურ სტრუქტურაზე აგებული საზოგადოებრივი ჯგუფი იყო. მათგან უფრო ადრეული უდავოდ მოწყდომას (სულალესა და ყებილეს) ტიპის ნათესაური გაერთიანება წარმოადგენდა, რომელმაც განსაზღვრულ ეტაპებზე, სეგმენტაციის პროცესში, მემკვიდრეობითი სახელით ანუ გვარ-სახელით გვარში

გადაზრდა დაიწყო, ხოლო ეს უკანასკნელი შემდეგში ცალკეულ მოწყდომად (სულალედ და ყებილედ) – გვიანპატრონიმიულ შტოდ კვლავ დაიყო. ეს პროცესი გვარსახელების ოფიციალურ დოკუმენტებში ფიქსირებამდე უწყვეტად მიმდინარეობდა (მგელაძე 2001: 27-28).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაო-კლარჯეთში გვარ-სახელთა და ბუდე ნათესაობათა – გენეალოგიურ სეგმენტთა აღმნიშვნელი მემკვიდრეობითი სახელწოდებები უმეტესწილად წინაპრის საკუთარ და მეტსახელთან, მათ საქმიანობასთან, წარმომავლობის ადგილთან, ანდა სატომო სახელთან იყო დაკავშირებული. წინაპრის მეტსახელი დროთა განმავლობაში ერთი კერიიდან ნაყარ ნათესავთა საერთო, ზოგად სახელწოდებად იქცეოდა და გენეალოგიაზე დაფუძნებული მემკვიდრეობითი სახელის – მოწყდომის (სულალესა და „ყებილეს) სახელის სახეს იღებდა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თოფჩიშვილი 2005: თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I. თბილისი, 2005.

კლარჯეთი 2016: კლარჯეთი (მონოგრაფია). ავტორები: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თბილისი, 2016.

მაისურაძე 1979: მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები. თბილისი, 1979.

მგელაძე 1973: მგელაძე ნ., ზემოაჭარული სოფელი ძველად. ბათუმი, 1973.

მგელაძე... 1996: მგელაძე ნ., მიქელაძეჯ., მასალები საცხოვრებელ კომპლექსსა და სოციალურ ურთიერთობათა საკითხებზე ბალზემო სვანეთში. – კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I. ბათუმი, 1996.

მგელაძე 2001: მგელაძე ნ., პატრონიმიული ორგანიზაცია: გენეზისის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის პრობლემები. – ისტორიის ინსტიტუტი 60 წლისაა, მოხსენებების მოკლე შინაარსი. თბილისი, 2001.

მგელაძე, 2004: მგელაძე ნ., აჭარული „ნოგრო“ და „გვარი“. ბათუმი, 2004.

მგელაძე 2015: მგელაძე ნ., სარფი – ეთნოგრაფიული პორტრეტი. – კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მალხაზ ჩოხარაძე, ლილე თანდილავა, მამია ფაღავა, ომარ მემიშიში, მაია ბარამიძე, ჯემალ ვარშალომიძე, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, ჯემალ კარალიძე, თინა შიოშვილი, მანანა თავდგირიძე, ცილა ნარაკიძე, ჯემალ მიქელაძე, ბათუმი, 2015.

მგელაძე 2020: მგელაძე ნ., ტაოს ეთნოლოგია. – ტაო, კოლექტიური მონოგრაფია, ავტორები: მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე. ბათუმი, 2020.

მგელაძე 2021: მგელაძე ნ., ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი (ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური პრობლემები). – ქართული წყაროთმცოდნეობა, XXIII. თბილისი, 2021.

მგელაძე 2022: მგელაძე ნ., პატრონიმიული ორგანიზაციის აღმნიშვნელ სახელწოდებათა ქართულ-კავკასიური ტიპოლოგიური პარალელები. – კავკასიოლოგთა I საერთაშორისო ლინგვისტურ-ანთროპოლოგიური კონგრესის მასალები, ეძღვნება მიხეილ ლოხვიცკის (აჯუკ-გირეის) ასი წლის იუბილეს. თბილისი, 2022.

ორბელიანი 1949: ორბელიანი სულხან-საბა, სიტყვის კონა. თბილისი, 1949.

ტაო 2020: ტაო (მონოგრაფია). ავტორები: მამია ფაღვა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე. ბათუმი, 2020.

ფაღვა 2017: ფაღვა მ., შტო-გვარის სახელთა წარმოების ერთი თავისებურება ტაოურში. – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის „კრებული“, XI. ბათუმი, 2017.

ფაღვა... 2020: ფაღვა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ტაოური დიალექტი. – კოლექტიური მონოგრაფია. ავტორები: მამია ფაღვა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე. ბათუმი, 2020.

ფაღვა... 2023: ფაღვა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., ქართული ენის კლარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი, 2023.

ჩანტლაძე 1967: ჩანტლაძე ი., შტო-გვარის აღმნიშვნელ სახელთა წარმოება და ბრუნება სვანეთში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“, №6. თბილისი, 1967.

ჩანტლაძე 1998: ჩანტლაძე ი., ახალი კულტუროლოგიური კრებული ენათმეცნიერის თვალთ. ქართველური ონომასტიკა, I. თბილისი, 1998.

მთხრობელები

გულბეზი 2018: მთხრობელი აღმედ გულბეზი, სოფელი სავლიათი, 29 ივლისი, ტაო. – ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, 29 ივლისი, ტაო-კლარჯეთი, თურქეთის რესპუბლიკა, 2018, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის არქივი.

ქეჩეჯი 2018: მთხრობელი რეჯებ ქეჩეჯი (ყაჭი/ყაჭიშვილი), 55 წლის, სოფელი ხევად, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 31 ივლისი, 1 აგვისტო, 2018 წელი. – ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, ივლისი-აგვისტო, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 2018: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის არქივი.

ქუჩუქშენი 2018: მთხრობელი იბრაიმ ქუჩუქშენი, სოფელი ხუმრუთი, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 5 აგვისტო, 2018. – ნ. მგელაძე. საველე-კომპლექსური ექსპედიციის დღიურები, ივლისი-აგვისტო, ტაო, თურქეთის რესპუბლიკა, 2018: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის არქივი.